



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოგოლი გიული ივლიანეს ძე

გოგოლი გიული ივლიანეს ძე (დ. 23. II. 1945, სენაკი), ზოოტექნიკოსი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (2000). 1972 დაამთავრა საქართვე. ზოოტექნ.-სავეტერინარო სასწ.-კვლევითი ინ-ტი. 1976–91 იყო საქართვე. მეცნ. აკად. ზოოლოგიის ინ-ტში მეძროხეობის განც.-ბის გამგე, 1991–2006 – საქართვე. მეცნ. აკადემიის მეცხოველეობის ბიოლ. საფუძვლების სამეცნ.-კვლევითი სექტორის ხელმძღვანელის მოადგილე სამეცნ. დარგში. 1994–2006 ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას საქართვე. ზოოტექნ.-სავეტერინარო სასწ.-კვლევით ინ-ტში. 1995–2005 ხელმძღვანელობდა საქართვე. მეცნ. აკადემიის გრანტების პროექტს. 2006-იდან საქართვე. სახელმწ. აგრ. უნ-ტის ასოცირებული პროფესორია, 2007-იდან – მ. რჩეულიშვილის სახ. მეცხოველეობის ბიოლ. საფუძვლების ინ-ტის დირექტორი. გ. მუშაობს ძროხის ადაპტაცია-აკლიმატიზაციის, ჯიშთაშორისი და სახეობათაშორისი ჰიბრიდიზაციის პრობლემებზე, ასევე სწავლობს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამამუშავების ტექნოლ. საკითხებს. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომის (მ. შ. 12 მონოგრაფია და 3 სახელმძღვანელო). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ხორცისა და ხორცპროდუქტების ტექნოლოგია, თბ., 2004; ჰიბრიდიზაცია სარძეო მეძროხეობაში, თბ., 2009.
